

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 27

2012 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2012 წლის  
კონკურსის გამოცხადების, კონკურსის ჩატარების წესის, საკონკურსო დოკუმენტაციის  
ფორმებისა და პროექტების საბოლოო შეფასების წესის  
დამტკიცების შესახებ

„ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის შესახებ“  
საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 მაისის N328 ბრძანებულების მე-2 პუნქტისა და  
„ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის წესისა და საგრანტო  
პროექტების შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს N772 ბრძანებით დამტკიცებული „ახალგაზრდა  
მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის წესი“-ს მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“  
ქვეპუნქტების და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2012 წლის 18 მაისს კონკურსი ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტის მოსაპოვებლად.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის ახალგაზრდა მეცნიერი პროექტს არეგისტრირებს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ელექტრონულ ბაზაში. პროექტის რეგისტრაცია ხდება ფონდის ვებგვერდიდან: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge).
3. პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2012 წლის 28 მაისიდან 11 ივლისის 24 სთ-მდე; კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2012 წლის 16 ივლისი, 18:00 საათი;
4. პროექტი შედგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე;
5. საკონკურსოდ საჭიროა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:



ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ დანართი N1-ის მიხედვით (გენერირდება პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ) ;

ბ) საპროექტო წინადადება დანართი N2-ის მიხედვით (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული სახით);

დ) ცნობა სამუშაო ან სწავლის ადგილიდან (უნდა აიტვირთოს ელექტრონულ ბაზაში დასკანერებული სახით);

6. პროექტის რეგისტრაციამდე ახალგაზრდა მეცნიერს უნდა ჰქონდეს გავლილი ფონდის ვებგვერდზე მეცნიერის ელექტრონული რეგისტრაცია;

7. პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ბოლო საფეხურია პროექტის საბოლოო წარდგენა. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ პროექტის ატვირთული ვარიანტის რედაქტირება შეუძლებელი იქნება.

8. პროექტის საბოლოო წარდგენის შემდეგ ელექტრონული ბაზა მიაწვდის პროექტს უნიკალურ შიფრს და დააგენერირებს ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსში პროექტის წარმომდგენი ახალგაზრდა მეცნიერის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რომლის ნაბეჭდი ვარიანტი სათანადო ხელმოწერებითა და ბეჭდით დამოწმებული წარმოდგენილ უნდა იქნას ფონდის კანცელარიაში.

9. ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსში პროექტის წარმომდგენი ახალგაზრდა მეცნიერის განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ, ფონდის კანცელარიაში წარდგენის გარეშე, პროექტი კონკურსში დარეგისტრირებულად არ ჩაითვლება, მიუხედავად ელექტრონული რეგისტრაციის დასრულებისა.

10. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების“ 2012 წლის კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

11. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების“ 2012 წლის კონკურსის საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

12. დამტკიცდეს „ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების“ 2012 წლის კონკურსში ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე პროექტის საბოლოო შეფასების გამოანგარიშების წესი ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;


13. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს (თ. გორგოძეს) წინამდებარე ბრძანების საჯარო გაცნობისათვის განთავსება ფონდის ვებ-გვერდზე: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge).

14. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური

გენერალური დირექტორი





დანართი №1  
დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის  
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის 2012 წლის 18 აპრილი  
№ 27 ბრძანებით

ეს განცხადება ავტომატურად შეივსება ფონდის ვებ-გვერდზე კონკურსანტების მიერ  
ელექტრონულ ბაზაში პროექტის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ!

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2012 წლის  
კონკურსში მონაწილეობის შესახებ

### გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ რა ინფორმაციას საკონკურსო პროექტის შესახებ, ვადასტურებთ, რომ  
გავეცანი "ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების გაცემის  
წესისა და საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ"  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 30 აგვისტოს #772  
ბრძანებას და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის ბრძანებას და ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას კონკურსის პირობებზე.  
ასევე ვადასტურებ, რომ ჩემ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული  
ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვაცნობიერებ, რომ ფონდი  
უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს მოწოდებული ინფორმაციის  
სიზუსტე და რაიმე სიყალბის ან ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას  
წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან. გთხოვთ, დაარეგისტრიროთ პროექტი  
"ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების" 2012 წლის  
კონკურსში.

1. პროექტის შიფრი: PG/ / /12
2. პროექტის სახელწოდება: \_\_\_\_\_
3. პროექტის ბიუჯეტი (ლარი): \_\_\_\_\_

პროექტის წარმომდგენი	ხელმოწერა



მომდევნო გრაფა ივსება იმ შემთხვევაში, თუ პროექტი უნდა შესრულდეს ორგანიზაციის ბაზაზე

ორგანიზაციის სახელწოდება	ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი	საიდენტიფიკაციო კოდი	ხელმძღვანელი პირის სახელი გვარი

თანახმა ვარ პროექტი განხორციელდეს მითითებულ ორგანიზაციის ბაზაზე.

ხელმოწერა:

ბეჭედი:

1. პროექტის შიფრი: PGI / /12
2. პროექტის სახელწოდება: \_\_\_\_\_
3. პროექტის ბიუჯეტი (ლარი): \_\_\_\_\_

პროექტის წარმომდგენი	ხელმოწერა



დანართი №2  
 დამტკიცებულია სსიპ – შოთა რუსთაველის  
 ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
 დირექტორის 2012 წლის 18 მაისი  
 № 27 ბრძანებით

### საპროექტო წინადადება

პროექტის შიფრი PG/---/---/12

პროექტის დასახელება

კვლევის ქვემომართულება/ქვემომართულებები

კვლევის აღწერა

#### 1. კვლევის სიახლე, მიზანი და ამოცანები

##### 1.1 პროექტის აქტუალობისა და უნიკალობის დასაბუთება

(პრობლემის მოკლე მიმოხილვა; პროექტის მიზნები, ამოცანები, პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა, დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი მნიშვნელოვანი და აქტუალური; მეცნიერული სიახლის აღწერა; სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1200-2000);

##### 1.2 კვლევის ობიექტი და ამოცანები

(აღწერეთ: კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; პროექტის განხორციელების ეტაპები და შესასრულებელი ამოცანები სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1000-1500);

ამოცანების შესრულების სავარაუდო გეგმა-გრაფიკი

ამოცანები/თვეები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ამოცანა #1												
ამოცანა #2												

#### 2 კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები

##### 2.1 კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისობა პროექტის ამოცანებთან

(აღწერეთ: პროექტში დაგეგმილი ამოცანების გადასაჭრელად საჭირო მეთოდები და საშუალებები/გზები, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის მივლინებები, სამუშაო შეხვედრები, პრეზენტაცია და სხვ; სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 1000-1200);

##### 2.2 კვლევის მოსალოდნელი შედეგები

(აღწერეთ: გრანტის პერიოდის დასრულების შემდგომ რა განვითარება ელის პროექტით მიღებულ შედეგებს; მიუთითეთ მათ შორის პროექტის სამომავლო კომერციალიზაციის შესაძლებლობები, პროექტის ბენეფიციარები (ის უწყებები და პირები, ვინც ისარგებლებენ პროექტის შედეგებით; სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა 800-1000).

პროექტის საანგარიშო პერიოდებში ჩატარებული სამუშაოს მოსალოდნელი შუალედური შედეგები/თვლადი ინდიკატორები ეტაპების მიხედვით

I პერიოდი (1-6 თვე)		II პერიოდი (მე-7-12 თვე)	
N	შედეგები/ თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი	N	შედეგები/ თვლადი ინდიკატორების ჩამონათვალი
1		1	
2		2	
3		3	

საჭიროების შემთხვევაში ცხრილი დაამატეთ.

- თვლადი ინდიკატორი: კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში/ეტაპზე პროექტის ამოცანების შესრულების შედეგად მიღებული ერთი, ან რამოდენიმე თვლადი შუალედური შედეგი. მაგალითად, გამოქვეყნდება 2 სამეცნიერო



პუბლიკაცია; მომზადდება 2 საკონფერენციო თეზისი; დამზადდება ექსპერიმენტული დანადგარის (კონკრეტული დასახელება) 1 ბლოკ-სქემა და სხვ.

- თვეები/პერიოდები გადათვალეთ პროექტის დაწყებიდან.

პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (თითოეული არაუმეტეს 200 სიტყვისა)

### ინფორმაცია ახალგაზრდა მეცნიერის შესახებ

პერსონალური მონაცემები

სახელი, გვარი

სქესი:

მოქალაქეობა:

ელფოსტა:

პირადი ნომერი (11 ნიშნა):

დაბადების თარიღი:

მისამართი:

ტელეფონი:

ვებ-გვერდი:

პროფესიული მოღვაწეობა

სამეცნიერო / აკადემიური ხარისხი:

სამუშაო ადგილი/ორგანიზაცია:

თანამდებობა (ქართულად):

განათლება

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სპეციალობა	აკადემიური ხარისხი	წლები

სამუშაო გამოცდილება

N	ორგანიზაციის დასახელება	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	წლები

პუბლიკაციები

რაოდენობა:

პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან / მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, მონოგრაფიები:

N	ავტორ(ებ)ი	პუბლიკაციის სათაური	ჟურნალის/გამომცემლობის დასახელება, ტიპი/ტომი, გვერდები, პუბლიკაციის ელექტრონული მისამართი.	წელი

პატენტები (გამოგონებები)

N	პატენტის დასახელება	პატენტის გამცემი ორგანიზაცია	პატენტის სარეგისტრაციო ნომერი	პატენტის გაცემის წელი

სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა

N	დამფინანსებელი ორგანიზაცია	პროექტის დასახელება	როლი პროექტში	წლები

საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

N	ღონისძიების დასახელება	მოხსენების სათაური	ღონისძიების ჩატარების ადგილი	წელი



პროექტის ბიუჯეტი

№	ხარჯვის კატეგორია	I	II	სულ
		საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	
1	შრომის ანაზღაურება	-	-	-
1,1	მ.შ. გრანტის მიმღები	-	-	-
1.1.2		-	-	-
1,2	მ.შ. დამხმარე პერსონალი	-	-	-
2	საქონელი და მომსახურება	-	-	-
2,1		-	-	-
2,2		-	-	-
3	მივლინება	-	-	-
4	არაფინანსური აქტივები	-	-	-
4,1		-	-	-
4,2		-	-	-
სულ		-	-	-

ბიუჯეტის განმარტება პროექტის დასრულების შემდეგ რა კატეგორია უნდა აირჩეოს მიზნით დასაფინანსებელი პროექტის სამომავლო განვითარების შესახებ (პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის მართვის სისტემის რეკონსტრუქციის რაოდენობა 100).

პროექტის საბიუჯეტო პერიოდში ჩატარებული სამუშაოს მასშტაბული შედეგების შეფასებით

I პერიოდი (1-6 თვე)		II პერიოდი (მე-7-12 თვე)	
N	შედეგითა და აქტივების ხარისხი	N	შედეგითა და აქტივების ხარისხი

საქმიანობის შედეგების განხილვა დასრულებული

თავის მიხედვით განხილული სამუშაო პროექტის დასრულების შემდეგ მიხედვით კონკრეტული პროექტის მიხედვით, ამოწმების 2 სამუშაო



**ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების 2012 წლის  
კონკურსში ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე, პროექტის საბოლოო  
შეფასების გამოანგარიშების წესი**

კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემა დამოუკიდებელ ექსპერტებს. პროექტის შეფასება უნდა განახორციელოს სულ ცოტა ორმა ექსპერტმა.

თუ ორ შეფასებას შორის განსხვავება 20 ქულაზე ნაკლებია, პროექტის საბოლოო შეფასება გამოითვლება მიღებული ორი შეფასების საშუალო არითმეტიკულით.

თუ ორი ექსპერტის შეფასებას შორის განსხვავება არის 20 ქულა ან მეტი, პროექტი სარეცენზიოდ გაეგზავნება მესამე ექსპერტს. მიღებული სამი შეფასებიდან დაწყვილდება ერთმანეთთან ყველაზე ახლო მდგომი ორი შეფასება და მათი საშუალო არითმეტიკული იქნება პროექტის საბოლოო შეფასება. იმ შემთხვევაში, თუ სამი შეფასებიდან უმცირესი და უმაღლესი შეფასება თანაბრად განსხვავდება საშუალო შეფასებიდან, პროექტის საბოლოო შეფასებად ჩაითვლება საშუალო შეფასება (მაგალითად, თუ პროექტის შეფასებებია 60, 80 და 100 ქულა, საბოლოო შეფასებად ჩაითვლება 80 ქულა).

პროექტი სარეცენზიოდ არ გაეგზავნება მესამე ექსპერტს, თუ ორივე თავდაპირველი შეფასება 70 ქულაზე ნაკლებია.

საგრანტო დაფინანსების მიღებისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა, პროექტის საბოლოო შეფასება იყოს 85 ან მეტი ქულა.